

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის
სათათბიროს სხდომის
ო კ მ ი №22

30.05.2014

სხდომას 13 წევრიდან ესწრებოდა 12

დღის წესრიგი:

1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის ანგარიში 2013/მარტი-2014/აპრილი - (გ.ქვარცხავა)
2. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს:

პროფ. ნ.წერეთლის ინფორმაცია მენეჯერის სამსახურის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ" არ ითვალისწინებს მენეჯერის სამსახურის მცნებას, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცდა სსიპ სტუ-ს წესდება, რომლის 24-ე მუხლის თანახმად, მენეჯერი განეკუთვნება დამხმარე თანამდებობას და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ნ.წერეთელმა სათათბიროს წევრებს გააცნო სტუ-ს რექტორის 19.03.2014 წლის №52 ბრძანება მენეჯერის უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ. მან დასძინა, რომ ამ ბრძანების მიხედვით მენეჯერი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე. ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით (ოქმი №1 11.10. 2013წ) სათათბიროს მიეცა უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხებზე, რაც მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე აუცილებელი არაა განხილული იყოს საბჭოზე, ამასთან საბჭოს გადაწყვეტილებით სათათბიროს უფლება აქვს აგრეთვე რეკომენდაცია გაუწიოს საბჭოზე ფაკულტეტისათვის აქტუალური საკითხების განხილვას. აღნიშნულიდან გამომდინარე სათათბირო უფლებამოსილია განიხილოს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მენეჯერის ანგარიში. ნ.წერეთელმა მოხსენებისათვის სიტყვა გადასცა ფაკულტეტის მენეჯერს გ.ქვარცხავას.

მოისმინეს

გ.ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მენეჯერის ანგარიში (2013/მარტი-2014/აპრილი), მის

მიერ დადებული იქნა ფაკულტეტის საიტზე და ელექტრონული ფოსტით დაეგზავნა სათათბიროს წევრებსაც. ამდენად მისი მოხსენების შინაარსი ცნობილია სათათბიროს წევრებისათვის და მოითხოვა კითხვა-პასუხის რეჟიმში გადასვლა.

კითხვები დაუსვს: პროფესორებმა: მ.მშვილდაძემ, ლ.გვასალიამ, ზ.ლომსაძემ, ზ.კოვზირიძემ, დ.ნოზაძემ, ნ.წერეთელმა, მ.ხუციშვილმა. ნ.კუციავამ, მ. მაისურაძემ,

აზრი გამოთქვას: პროფ. მ. მშვილდაძემ აღნიშნა, რომ მენეჯერის მიერ წარმოდგენილ ე.წ. ანგარიშში თითქოსდა გამარტივდა კომუნიკაცია და კოორდინაცია ყველა საუნივერსიტეტო რგოლს შორის. პირიქით დაირღვა კოორდინაცია, უფრო მეტიც საერთოდ არ არსებობს არავითარი ურთიერთთანამშრომლობა დეკანატსა და მენეჯერის სამსახურს შორის და მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში მათგან ინფორმაციას ვღებულობთ გარედან. ამასთან, სისტემატურად არ იმყოფება მენეჯერი ფაკულტეტზე, რაც სამართლიანად აღიზიანებს თანამშრომლებსა და სტუდენტებს.

პროფ. ლ.გვასალიამ აღნიშნა, რომ დღემდე ფაკულტეტი მუშაობდა გუნდური პრინციპით და პრობლემების მიჩუმათებას ფაკულტეტზე არასოდეს არ ჰქონია ადგილი, რის ბრალდებასაც აყენებს მენეჯერი. ფაკულტეტის მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, აკადემიურმა პერსონალმა გამოიჩინა ერთსულოვნება და ხელფასების შემცირების გზით შექმნა ფაკულტეტის განვითარებისათვის საჭირო თანხები. ეს ნაბიჯი იყო იძულებითი, რადგანაც კოეფიციენტის გამოყენების შემთხვევაშიც კი ფაკულტეტს აღარ რჩებოდა განვითარებისთვის საჭირო სახსრები, რაც დაადასტურა სტუ-ს შიდა აუდიტმა მ.ლომთაძემ, სტუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე, რომელმაც რექტორის დავალებით შეისწავლა ეს საკითხი. ლ. გვასალიამ აღნიშნა, რომ მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეესაბამება რექტორის ბრძანებით მენეჯერისთვის მინიჭებულ კომპეტენციას.

პროფ. დ. ნოზაძემ აღნიშნა, რომ დისკუსიის გარეშე არამართებულად მიაჩნია მსგავსი ინფორმაციების საჯაროდ გამოტანა ფაკულტეტის საიტზე, მითუმეტეს რომ წარმოდგენილი ანგარიში არ შეესაბამება მენეჯერის სამსახურისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მან სთხოვა მენეჯერს თუ კი გააჩნია ფაკულტეტის განვითარების მისეული ხედვა წარმოადგინოს.

პროფ. ნ. კუციავამ აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში, გაჭირვების პერიოდშიც კი, შენარჩუნებული იყო ფაკულტეტის ერთიანობა, სადაო საკითხების გადაწყვეტა ყოველთვის ხდებოდა გამჭირვალედ, დისკუსიის საფუძველზე და პრობლემების მოგვარებასაც ერთობლივად ვცდილობდით. რაც შეეხება ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ბევრი მათგანი, შესაბამისი პროფილით დღესაც წარმატებით მოღვაწეობს საკმაოდ ცნობილ კომპანიებში და ფირმებში. აღნიშნულიდან გამომდინარე მის გულის ტკივილს იწვევს მენეჯერის მოხსენებაში პრობლემების ასე არაობიექტურად წარმოსახვა. აუცილებლად მიმაჩნია მენეჯერს ეთანამშრომლა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ბიუჯეტის დაგეგმვის დროს. ნ.კუციავამ აღნიშნა, რომ მენეჯერის მიერ წარმოდგენილ მასალას ანგარიშს ვერ უწოდებს.

პროფ. ზ. კოვზირიძემ აღნიშნა, რომ მენეჯერის ანგარიშიდან გამომდინარე ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობს თავს. რადგან იგი გაიზარდა ისეთი კორიფეების გვერდით, როგორებიც იყვნენ კ. ქუთათელაძე, რ. აგლაძე, ვ. კაკაბაძე და სხვ. და, რომ ჩვენი ფაკულტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა მეცნიერული მიღწევებით და ბოლო წლებშიც სხვა ფაკულტეტებთან შედარებით მოპოვებული აქვს ყველაზე მეტი შიდა თუ გარე სამეცნიერო გრანტები. მოხსენებაში წარმოდგენილი საკითხები არ შედის მენეჯერის ფუნქციებში. მან აღნიშნა, რომ მოხსენებაში არასწორადაა მითითებული შტატების ზრდის თაობაზე. პირიქით, წინა კონკურსთან შედარებით ამჟამინდელი კონკურსი გამოცხადდა შემცირებულ საშტატო ერთეულებზე. უფრო მეტიც, მეტალურგიის მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტში არსებული 37 ს/ე შემცირდა 24 ს/ე-მდე. ზ.კოვზირიძის განმარტებით რამდენადაც სტუ-ს ფინანსური შემოსავლებისათვის მნიშვნელოვანია ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ასევე ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტისათვის მნიშვნელოვანია ფარმაცია. ამით გვეძლევა საშუალება შევინარჩუნოთ ძირძველი და ამჟამადაც უაღრესად საჭირო საინჟინრო სპეციალობები, მითუმეტეს რომ საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტში, მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის ნაწარმს დღესაც პირველი ადგილი უკავია. დასასრულს ზ. კოვზორიძემ აღნიშნა, რომ მენეჯერის მიერ წარმოდგენილი მასალა არ არის მენეჯერის ანგარიში. მან წამოაყენა წინადადება, რომ მენეჯერს მიეცეს გარკვეული ვადა, იმისათვის, რომ წარმოადგინოს მისი უფლება-

მოვალეობიდან გამომდინარე ანგარიში (2013/მარტი-2014/აპრილი) და მიმდინარე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.

პროფ. მ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საიტზე გამოქვეყნებული მენეჯერის ანგარიში არ პასუხობს მენეჯერისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მენეჯერის მიერ წარმოდგენილი მასალა არის ფაკულტეტის დისკრედიტაცია და, რომ ვერც თანამშრომელი და ვერც სტუდენტი ვერ გრძნობს მენეჯერისგან თანადგომასა და კეთილგანწყობას. იგი ჯეროვნად არ ასრულებს თავის ფუნქციებს შესყიდვებთან დაკავშირებითაც.

ხუციშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ ფაკულტეტის საიტზე ინფორმაციის განთავსება მოხდეს საბჭოს ან საათათბიროს რეკომენდაციით.

პროფ. ზ. ლომსაძემ მენეჯერის ანგარიშში 2014 წლის ბიუჯეტის გადაკეთებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთადერთი ძირეული ცვლილება რაც საათათბირომ შეიტანა ბიუჯეტში იყო იმ 50 000 ლარის დაზოგვა და სხვა დანიშნულებით გამოყენება, რის დახარჯვასაც მენეჯერი აპირებდა მხოლოდ ერთჯერადი ლაბორატორიული კომპლექტის შესაძენად. მენეჯერის ვარიანტი შეიძლება მისაღები ყოფილიყო ფუფუნების პირობებში და არა მწირი ბიუჯეტის არსებობისას. ზ. ლომსაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში არის ტენდეციური, არაობიექტური და შეუსაბამო მენეჯერის ფუნქციებთან. ამიტომაც მენეჯერის მიერ საიტზე განთავსებული მასალა არ არის ანგარიში და იგი სასწრაფოდ უნდა იქნეს მოხსნილი ფაკულტეტის საიტიდან.

პროფ. მ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საათათბიროს წინაშე წარმოდგენილ იქნა ფაკულტეტის მენეჯერის ანგარიში ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიში არაა არც კონსტრუქციული და არც კეთილგანწყობილი. ეს არის კრიტიკა-კრიტიკისათვის. "ანგარიშში" მოყვანილი ფაქტები ხშირად გადაუმოწმებელია და გარემოებების ანალიზის გარეშე გაკეთებული. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფაკულტეტის "საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება ხდება სპონტანურად, მსჯელობის გარეშე". ეს იმ დროს, როცა ფაკულტეტის საათათბირომ არაერთი სხდომა მიუძღვნა ბიუჯეტის მუხლობრივ განხილვას, რაც ხშირ შემთხვევაში მძაფრი კამათის მიზეზიც გახდა. ამ განხილვებს ესწრებოდა ფაკულტეტის მენეჯერიც და გაუგებარია კონკრეტულად რომელი "საბიუჯეტო სახსრები" გადანაწილდა მსჯელობის გარეშე. "ანგარიშში" მოყვანილია ინფორმაცია, რომელიც მენეჯერის აზრით აძლიერებს შიდა დამაბულობას. საქმე ეხება დეპარტამენტებს შორის სამტატო ერთეულების და საბიუჯეტო თანხების გადანაწილებას. კონკრეტულად "მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა

და ლითონების დამუშავების” დეპარტამენტსა და ”ფარმაციის” დეპარტამენტს შორის. მ. მაისურაძემ განმარტა, რომ აქ არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ”მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების” დეპარტამენტში მარტო ბაკალავრიატში იკითხება 148 სასწავლო კურსი, ხოლო ფარმაციის დეპარტამენტში 60 სასწავლო კურსი. ანალოგიური თანაფარდობაა სწავლების მაღალ საფეხურებზეც. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და შემდგომი ყოველწლიური თვითშეფასების აუცილებელი პირობაა აკადემიური პერსონალის სათანადო რაოდენობის არსებობა, შესაბამისად გამოთქმული მოსაზრება ძირშივე მცდარია. არ არის გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ ”მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების” დეპარტამენტში (ისევე როგორც სხვა დეპარტამენტებში) პროფესორები ანაზღაურებას არსებული საათების მიხედვით იღებენ და უმეტეს ნაწილს ხელფასი შემცირებული აქვთ. ასევე მცდარია მენეჯერის მიერ აღნიშნული ის ფაქტიც, რომ ”მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების” დეპარტამენტი 3-ჯერ მეტ თანხას მოიხმარს ფარმაციის დეპარტამენტთან შედარებით. ”მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების” დეპარტამენტისათვის (რომელიც 6 ”მიმართულებას” აერთიანებს), გამოყოფილი თანხა შეადგენს 18000 ლარს, რაც გაცილებით ნაკლებია ”ფარმაციის” დეპარტამენტისათვის გამოყოფილ თანხასთან შედარებით.. აღნიშნული თანხა მინიმალურია ამ ”მიმართულებების” ფუნქციონირებისათვის. მითუმეტეს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დეპარტამენტში არსებული პროგრამები ფაქტობრივად ერთადერთია საქართველოს მასშტაბით და სხვა უნივერსიტეტები მსგავს პროგრამებს არ ახორციელებენ. მ. მაისურაძის აზრით საკითხის ასე ტენდეციურად გაშუქება ქმნის სწორედ იმ დამაბულობას, რაზეც მენეჯერი საუბრობს.

გამომსვლელმა მენეჯერის მოხსენებაში მოყვანილ იმ საკითხთან მმართვებაშიც გააკეთა კომენტარი, რომელიც მისაღები გამოცდების გამარტივებას და არაპროფილური საგნების ჩართვას ეხება. მან აღნიშნა, რომ ეს პრაქტიკა შექმნილი მდგომარეობითაა გამოწვეული და ეს მოდელი მთლიანად დაინერგა უნივერსიტეტში, ამიტომაც ფაკულტეტის დადანაშაულება ამ მიმართულებით არაკორექტულია.

პროფ. ნ.წერეთელმა აღნიშნა, რომ ფუნქციებიდან გამომდინარე მენეჯერის სამსახურის შემოღება დადებითად უნდა ასახულიყო ფაკულტეტის განვითარებაზე. ჩვენს შემთხვევაში კი მოხდა პირიქით. მენეჯერისაგან ვერცერთ კითხვაზე ვერ მივიღე სრულყოფილი პასუხი, კერძოდ გასული ერთი წლის განმავლობაში, მენეჯერს არ შეუსრულებია თავისი ძირითადი ფუნქციები, კერძოდ არ უცდია ბაზრის მარკეტინგულ და პროგნოზულ ანალიტიკური კვლევა და ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვა, არანაირი მოთხოვნათა ნუსხა არ წარმოუდგენია

საგანამანათლებლო პროგრამების დახვეწის მიზნით და არც სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის კოორდინაცია გაუწევია. ნ.წერეთელმა ასევე განმარტა, რომ მენეჯერის სამსახურისათვის საჭირო შტატების გაზრდამ ფინანსურად დააზარალა ფაკულტეტი. თავისუფლად იყო შესაძლებელი მენეჯერის სამსახურისათვის საჭირო სპეციალისტები დაკომპლექტებულიყო ადგილობრივი კადრით. ნ.წერეთელმა ყურადღება გაამახვილა მოხსენების იმ ნაწილზე, სადაც სტუდენტებზეა საუბარი. მან სთხოვა მენეჯერს პირადი ზრახვების მისაღწევად, მომავალში თავი შეიკავოს სტუდენტებით მანიპულირებისაგან, რაშიც სამწუხაროდ მისი არაეთიკური საქციელი არაერთხელ იქნა დაფიქსირებული. მან მოუწოდა სათათბიროს წევრ სტუდენტებს, არასოდეს მოექცნენ არც მისი და არც სხვისი ზეგავლენის ქვეშ და ყოველთვის შეინარჩუნონ ობიექტურობა. ნ. წერეთელმა აღნიშნა, რომ მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ გამომდინარეობს მისი კომპეტენციიდან და იგი რომელიმე მაკონტროლებელი ორგანოს არაობიექტურ და ტენდენციურ დასკვნას უფრო წააგავს; ამიტომაც მთლიანად იზიარებს კოლეგების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილ მასალას არ შეიძლება ეწოდოს მენეჯერის ანგარიში.

დაადგინეს

1. ფაკულტეტის საიტზე ინფორმაციის განთავსება მოხდეს, საბჭოს ან სათათბიროს რეკომენდაციით.

დადგენილება მიღებულია ხმათა უმრავლესობით: მომხრე-11, წინააღმდეგი-1.

2. მენეჯერის მიერ წარმოდგენილ ე.წ. " ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის ანგარიშს (2013/მარტი-2014/აპრილი) " არ შეიძლება ეწოდოს ანგარიში, რადგანაც იგი არ შეესაბამება სტუ-ს რექტორის 19.03.2014 წლის №52 ბრძანებას მენეჯერის უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ და მოიხსნას ფაკულტეტის საიტიდან. დაევალოს გ. ქვარცხავას მისი კომპეტენციის ფარგლებში ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის ანგარიში (2013/მარტი-2014/აპრილი) და მიმდინარე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად (მომხრე-11, გ.ქვარცხავას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგანაც კენჭისყრისყრის ჩატარებამდე პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომა).

მიმდინარე საკითხები:

მოისმინეს: პროფ. ნ. კუციავას ინფორმაცია მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური კონფერენციის "ქიმია ხვალ-2014" დაფინანსებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ კონფერენცია ორგანიზებულია ქიმიური და

ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოც. პროფ. ი.ლაგვილავას მიერ. აღნიშნული ღონისძიება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოაჩენს და პოპულარიზაციას გაუწევს ჩვენს ფაკულტეტს, რაც ხელს შეუწყობს აბიტურიენტების მოზიდვას ჩვენს ფაკულტეტზე. კონფერენციის მასშტაბურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე პროფ. ნ. კუციავამ ითხოვა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 1000 ლარი (ხელზე) კონფერენციის სრულყოფილად ჩატარების მიზნით.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა: მ. მშვილდაძემ, მ. მაისურაძემ, ნ. წერეთელმა, დ.ნოზაძემ.

დაადგინეს ეთხოვოს ფაკულტეტის მენეჯერს მოიძიოს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან თანხა 1000 ლარი (ხელზე) კონფერენციის დასაფინანსებლად.

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სათათბიროს 11 წევრმა

სათათბიროს თავმჯდომარე

მდივანი



ნ. წერეთელი
მ. მშვილდაძე